გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება N 59

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 8 დეკემბერს (N19/2023342292-20) შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.26.437 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ იჯარის ხელშეკრულებით გადაცემა ყავის აპარატის განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 1 მარტის N 059-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ს/კ 66.45.26.437 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1400.00 (ათას ოთხასი) ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოთ აღნიშნული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და იჯარის წლიური საფასურის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.26.437 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ უძრავი ქონება, ყავის აპარატის განთავსების მიზნით გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. ს/კ 66.45.26.437 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან - 1 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1400.00 (ათას ოთხასი) ლარით.

3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.45.26.437 მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ უძრავ ქონებაზე განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით.

5.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი გაცემული იქნეს ყავის აპარატის განთავსების მიზნით. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას „მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

6.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე